ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდსმენები

◆

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა პირველი შეჯიბრების გმირებს — პირველ რეკორდსმენებს მიმდინარე სეზონში ი. ამნიაშვილს (მარცხნივ) და ლ. ბერძენიშვილს (მარჯვნივ). 15 და 16 წლის გოგონებმა კარგად დაიწყეს ახალი სპორტული სეზონი და კვლავ გამარჯვებებს გვპირდებიან მომავალში.

(შეჯიბრების ანგარიში სათაურით — „რეკორდსმენები“ წაიკითხეთ მე-3 გვ.).

ფოტო ი. იუნაევისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

17
თებერვალი
შაბათი,
№ 34 (1885)
1962 წ.
გამოცემის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

ასპარეზობა გრძელდება

ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გრძელდება უძლიერეს კალათბურთელთა შეხვედრები. კაუნასში, სადაც ერთმანეთს ეთამაშებიან ვაჟთა გუნდები, რიგის სკა-მ დაამარცხა ტარტუს „კალევი“ — 99:65, ლენინგრადის არმიელთა გუნდმა — აშხაბადის „ზახმეტი“ — 79:67, ხოლო კიშინიოვის „ინქდორსტროიმ“ — დუშანბეს „ტაჯიკისტანი“ — 68:62.

ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები „დინამო“ და „ბურევესტნიკი“. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 79:63 (37:37).

თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი, რომელიც ლენინგრადის ჯგუფში გამოდის, მეორე მატჩში შეხვდა ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ დი დაამარცხა იგი ანგარიშით 69:54.

15 თებერვალს კაუნასში გაიმართა ლიდერთა მატჩი. რიგის სკა შეხვდა თბილისის „დინამოს“. თამაშის პირველივე წუთებიდან მაყურებლები საინტერესო ბრძოლის მოწმენი გახდნენ. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს რიგელმა კალათბურთელებმა და პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 32:22.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა და განსხვავება ანგარიშში მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ შემდეგ ინიციატივა კვლავ ხელიდან გაუშვეს და დამარცხდნენ — 58:67.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოუგო დუშანბეს „ტაჯიკისტანს“ — 85:71, ტარტუს „კალევმა“ — კიშინიოვის „ინქდორსტროის“ — 81:63, ლენინგრადის „სპარტაკმა“ — ტაშკენტის სკა-ს — 91:59, ლენინგრადის არმიელთა გუნდმა — ბაქოს სკიფს — 76:61.

კაუნასის ჯგუფში 8 ტურის შემდეგ 8 ქულით წინ არის რიგის სკა. მეორე ადგილზეა თბილისის „დინამო“ — 7 ქულა. გუშინ გუნდები ისვენებდნენ.

ლენინგრადში გაიმართა მორიგი მატჩები. ლენინგრადის არმიელებმა დაამარცხეს როსტოვის „ბურევესტნიკი“ — 77:56, თბილისის „ბურევესტნიკმა“ — კიშინიოვის „ინქდორსტროი“ — 57:54. აქ ლიდერობენ ლენინგრადის სკა და ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკა“.

მოსკოვის ჯგუფში დაწინაურდნენ რიგის ტტტ-ს, ტარტუს უნივერსიტეტის, მოსკოვის „დინამოსა“ და კაუნასის „პოლიტექნიკის“ გუნდები. ოთხივე კოლექტივს 2-2 ქულა აქვს.

სტარტზე

★

ო. გონჩარენკოს ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონატის წინ

★

უპირველესად ყოვლისა, აუცილებელია აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია თანამედროვე საციგურაო სპორტში. საქმე ეხება იმას, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მცირდება რხევათა ამპლიტუდა მრავალჭიდოსნების შედეგებს შორის მოკლე და გრძელ დისტანციებზე. რა თქმა უნდა, უძლიერეს მოციგურეებს ახლაც აქვთ სიმპათიები და ანტიპათიები ამა თუ იმ დისტანციისადმი, მაგრამ მაინც იდეალია, რომლისკენაც მიისწრაფვიან თანამედროვე მოციგურეები.

საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ჩემი დიდი ხნის მეგობრისა და მოწინააღმდეგის მერკულოვის სპორტული ბედი. იგი ხშირად იყო ახლოს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის დაფნის გვირგვინთან. მაგრამ მერკულოვმა ვერ იქნა და ვერ გადადგა უკანასკნელი ნაბიჯი საპატიო კვარცხლბეკისაკენ. მას ყოველთვის ღალატობდა შედეგები გრძელ დისტანციებზე. უკანასკნელ წლებში მერკულოვმა ბევრი იშრომა ამ ნაკლის გამოსასწორებლად და აი, ეს 30 წლის „მუდამ მეორე“, როგორც მას უწოდებდა საზღვარგარეთული პრესა, გახდა პირველი და გამარჯვება მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე.

თანამედროვე საციგურაო სპორტის მეორე დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ პირველი ადგილის პრეტენდენტთა წრე გაფართოვდა. 1953 წლამდე მსოფლიო პირველობა ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთის მოციგურეთა თითქმის პირად საქმედ ითვლებოდა. შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, რომლებმაც მტკიცედ დაიმკვიდრეს ლიდერობა. ახლა წამყვან ჯგუფს დაუახლოვდნენ სხვა ქვეყნების მოციგურეებიც.

თუ ჰოლანდიელი ვან დერ გრიფტის შარშანდელი წარმატება გასაკვირი არ იყო, ნამდვილ სენსაციად იქნა აღიარებული საფრანგეთის წარმომადგენლის ა. კუპრიანოვის გამოჩენა და არ გამიკვირდება, თუ მოსკოვის ჩემპიონატზე აღმობრწყინდება რომელიმე ჩინელი მოციგურის ვარსკვლავი, ვინაიდან ამ ქვეყნის სპორტსმენები უკანასკნელ ხანებში საოცარ შედეგებს აღწევენ. განსაკუთრებით დიდ იმედებს იძლევა ვან ძინ-იუი. ერთი სიტყვით, დიდი საციგურაო სპორტის გეოგრაფიის გაფართოებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვდგავართ ისეთი შეჯიბრების წინაშე, რომელზეც ყოველგვარი მოულოდნელობაა მოსალოდნელი.

ო. გონჩარენკო.

◆

ეს ორი ზემოაღნიშნული ტენდენცია უკვე თავისთავად ანიჭებენ განსაკუთრებულ ინტერესს მოსკოვის ჩემპიონატს, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი წმინდა სპორტული ხასიათის დეტალი, რომელიც „ცეცხლზე ნავთს ასხამს“. მე მხედველობაში მაქვს უჩვეულოდ თანაბარი შემადგენლობა (ყოველ შემთხვევაში პირველ ათეულში შემავალი ლიდერებისა). ეს უკიდურესად ამწვავებს ბრძოლას და აძნელებს პროგნოზების გაკეთებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტი შანსები აქვთ კოსიჩკინს, კუპრიანოვსა და ვან დერ გრიფტს. რატომ? უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი სხვებზე მეტად უახლოვდებიან მრავალჭიდოსნის იდეალურ ტიპს.

ამ სამთაგან მე უპირატესობას ვანიჭებ კოსიჩკინს. ეს მხოლოდ პატრიოტული გრძნობების გამო არ არის. კოსიჩკინი დიდ შესაძლებლობათა მქონე მოციგურეა, რომელსაც ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოუვლენია თავისი შესაძლებლობანი. მართალია, გასულ წელს კოსიჩკინი აშკარად „იხრებოდა“ გრძელი დისტანციებისაკენ, რის გამოც მან მარცხი განიცადა მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მან სათანადო გაკვეთილი გამოიტანა თავისი მარცხისაგან.

ევროპის პირველობის წინ ერთხმად ლაპარაკობდნენ კუპრიანოვის ცუდი სპორტული ფორმის შესახებ. მაგრამ მან მორიგი სიურპრიზი მოგვიძღვნა და მხოლოდ შეუპოვრობისა და თავისებური სიმამაცის წყალობით გაუსწრო მას მერკულოვმა. ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის ყინულზეც კუპრიანოვი ჩვენი სპორტსმენების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში მეტოქე იქნება.

რაც შეეხება ვან დერ გრიფტს, მისი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ზედმეტს ხდის განსაკუთრებულ რეკომენდაციებს. ვან დერ გრიფტს არა აქვს მკვეთრად გამოხატული ძლიერი მხარეები, მაშასადამე, მას არა აქვს სუსტი მხარეებიც.

დანარჩენი ფავორიტებიდან „უმაღლეს ღონეზე“ ბრძოლაში უთუოდ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მოციგურეები მერკულოვი და სტენინი, აგრეთვე ჰოლანდიელი ლიბრეჰტსი, ნორვეგიელი იუჰანესენი, შვედი ერიკსონი და ბევრი სხვაც.

რაღა დარჩა ჩემი პროგნოზიდან მას შემდეგ, რაც ამდენი გვარი ჩამოვთვალე? თქვენ გსურთ სრული გულახდილობა? მაშ კარგი, დავასახელებ მხოლოდ ერთ გვარს: კოსიჩკინი.

სევეროდონეცკის კორტებზე

ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ, სევეროდონეცკში ტარდება უძლიერეს ჩოგბურთელთა პირადი პირველობა. აქ წარმატებით გამოდის თბილისელი სტუდენტი ნ. მძინარიშვილი, რომლის მეტად აგრესიულ და ოსტატურ თამაშს აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქართველი სპორტსმენის 2 უკანასკნელი შეხვედრა მოსკოველ მირზასთან და ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან. მძინარიშვილი-მირზას შეხვედრა თბილისელი სპორტსმენის ენერგიული იერიშებით დაიწყო. მან აიძულა მოსკოველი მისთვის უჩვეულო სწრაფ ტემპში ეთამაშა. პირველი პარტია მოიგო ნ. მძინარიშვილმა — 6:4, მეორე და მესამე პარტიებიც ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებით დამთავრდა — 6:1, 6:2.

მაგრამ ყველაზე საინტერესო გამოდგა ნ. მძინარიშვილის შეხვედრა ს. ლიხაჩოვთან. ეს იყო მეოთხედფინალური მატჩი. პირველი პარტია მოიგო მძინარიშვილმა — 6:4. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მეორე პარტია, მაგრამ ამჯერად ბაქოელის სასარგებლოდ. მომდევნო პარტია თბილისელმა მოიგო — 6:4 და წინ გავიდა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მეოთხე პარტია, რომელშიც დაწინაურდა ს. ლიხაჩოვი. როცა ანგარიში 5:2 გახდა ბაქოელის სასარგებლოდ, მის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა. მაგრამ აქ თავი იჩინა ქართველი სპორტსმენის მაღალმა მორალურმა თვისებებმა, მტკიცე ნებისყოფამ, რის წყალობითაც ნ. მძინარიშვილმა შეძლო თითქმის უიმედო პარტიის მოგება — 8:6.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ ქალთა წყვილებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისათვის ფინალში გავიდნენ ბაკშეევა-კული და დმიტრიევა-ერმოლოვა (რიაზანოვა).

ტ. მარკის

ხსოვნის პატივსაცემად

ავსტრიაში, ზალცბურგის მთებში გაიმართა ცნობილი ავსტრიელი მოთხილამურის ტ. მარკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება.

ვაჟთა სწრაფდაშვებაში (4000 მეტრი) უპირატესობა წილად ხვდა ტ. მარკის თანამემამულეს მ. ბურგერს, რომელმაც ყველაზე კარგი დრო — 3.11,8 აჩვენა. საბჭოთა სპორტსმენი ვ. ტალიანოვი მე-6 ადგილზე გამოვიდა. ქალთა შორის გაიმარჯვა კანადელმა ნ. გრინმა.

სლალომში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ზ. ბრეგერი.

შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს

როგორც ცნობილია, დღეს მოსკოვში დაიწყება მსოფლიო პირველობა ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ვაჟთათვის. ჩვენი ქვეყნის უდიდესი სპორტული ბაზა — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი მომზადებული ხვდება ჩემპიონატის მონაწილეებს. სპორტულ ჟურნალისტთა უკვე მომსახურების მიზნით სტადიონზე შეიქმნა პრესცენტრი. მომავალ მსოფლიო პირველობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ჰოლანდიის პრესა, რეიტერისა და სხვა სააგენტოები. შეჯიბრების მთელი მსვლელობა გადაცემულ იქნება ტელეხედვის საშუალებით. მსოფლიოს უძლიერეს მოციგურეთა გამოსვლებს საბჭოთა ტელემაყურებლების გარდა ნახავენ გდრ-ს, შვეციის, დანიის, ჰოლანდიის, ფინეთის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სპორტის მოყვარულები.

საწარმოო ტანვარჯიში — ცხოვრებაში

სოხუმისა და ტყვარჩელის ოცამდე ფიზკულტურულ კოლექტივსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში ყოველდღიურად გაისმის ძახილი: „ვარჯიშისათვის მოეწყვეთ!“ 5 ათასზე მეტი კაცი რამდენიმე წუთით ტოვებს თავის სამუშაო ადგილს და ხალისით ასრულებს ფიზკულტურულ ვარჯიშებს.

საწარმოო ტანვარჯიში ორგანულად შემოდის ჩვენი დაწესებულებებისა და საწარმოთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მარტო ს. ორჯონიკიძის სახელობის სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში საწარმოო ტანვარჯიშში დაკავებულია 800 კაცი. ორ წელზე მეტია, რაც საზოგადოებრივი ინსტრუქტორები პ. ანჩაბაძე, გ. სიდკო, ნ. ჩელოგუგოვა და სხვანი, რომლებმაც დაამთავრეს სპეციალური სემინარი, ატარებენ ტანვარჯიშულ მეცადინეობას კომბინატის საამქროებში.

სოხუმის თამბაქო-ფერმენტაციული ქარხნის საამქროებში ყოველდღიურად, სამუშაოს დაწყებამდე და მეორედ — შუადღისით, დამხარისხებელი ჩ. ჯიქია ატარებს საწარმოო ტანვარჯიშსა და ფიზკულტპაუზებს. სხვათა შორის, ეს ქარხანა ერთ-ერთი ინიციატორია სოხუმში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საქმეში, რომელიც უკვე მეოთხე წელია, რაც აქ დამკვიდრდა.

საწარმოო ტანვარჯიში დიდი პატივით სარგებლობს სხვა კოლექტივებშიც — ქალაქის საწარმოო კომბინატში, კავშირგაბმულობის საოლქო კანტორაში, პლასტმასის ქარხანაში, „გალანტერიის ფაბრიკაში და ა. შ.

ეჭვი არაა, რომ ეს კეთილშობილური საქმე კიდევ უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს.

* * *

სურათებზე: ზევით — საწარმოო ტანვარჯიში სოხუმის ფერმენტაციული ქარხნის ერთ-ერთ საამქროში. ქვევით — ფიზკულტპაუზა ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში.

ფოტო და ტექსტი ვ. ხემიონოვისა.

რა გვიჩვენა დაკვირვებამ

✦

ზ. კოჯზირიძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ჰიგიენისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.

✦

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამაში სხვა ამოცანებს შორის, რომლებიც ითვალისწინებს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებას, დასახულია ამოცანა — უფრო სახალისო გახდეს შრომა, შემცირდეს მუშამოსამსახურეთა სამუშაო საათები და გაიზარდოს დასვენების ხანგრძლიობა, რათა ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ მეტი დრო დაუთმოს თავის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში გარკვეული როლი უნდა შეასრულონ ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებმა და ექიმებმა, რომელთაც ევალებათ კიდევ უფრო გაშალონ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ხელი შეუწყონ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების რეჟიმის რაციონალურად შენაცვლებასა და ორგანიზებას.

ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს საწარმოო ტანვარჯიში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ღონისძიებას წარმოადგენს დაავადების პროფილაქტიკის, ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისათვის. საწარმოო ტანვარჯიში ხელს უწყობს შრომისა და დასვენების სწორ მონაცვლეობას, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესების დაცვას და ჰიგიენურ-კულტურული ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებას.

საწარმოო ტანვარჯიშის წარმოების პირობებში მეცნიერულად შესწავლა და ამის მიხედვით საწარმოო ტანვარჯიშის ამა თუ იმ წარმოებაში ჩატარების მეთოდიკის დამუშავება ფრიად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჰიგიენისა და სპორტული მედიცინის, ფიზიოლოგიისა და ტანვარჯიშის კათედრების მასწავლებელთა ინიციატივა, რომელთა მიერ შესწავლილი იყო საწარმოო ტანვარჯიშის გავლენა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მომუშავეთა ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობასა და შრომისუნარიანობაზე.

ექსპერიმენტების დაწყებამდე ჩატარდა ლაბორატორიული და ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები: შესწავლილ იქნა წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, მომუშავეთა შრომის ხასიათი და ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობა, საწარმოო გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და მომუშავეთა ორგანიზმის რეაქცია მასზე, დაავადებიანობის სიხშირე და საწარმოო ტრავმის რაოდენობა მომუშავეთა შორის, საწარმოო წუნის რაოდენობა და სხვ.

ჩატარდა აგრეთვე მომუშავეთა სამედიცინო შემოწმება და დაკომპლექტდა საკონტროლო ჯგუფები ფიზიკურად ჯანსაღი მომუშავეებიდან, რომელთა ასაკი, საწარმოო სტაჟი ამ პროფესიაში და საყოფაცხოვრებო პირობები დაახლოებით ერთნაირი იყო. ამასთან, მომუშავეთა შრომის ხასიათის თავისებურებათა გათვალისწინებით შემუშავდა ვარჯიშთა კომპლექსები, აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტების დაწყებამდე სათანადო ჰიგიენურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევების ჩატარებით დადგინდა დაღლის დადგომის მომენტები და საწარმოო გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ცვალებადობა სამუშაო დღის მანძილზე.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ჰაეროვან-სითბური რეჟიმის მაჩვენებლები სამუშაო ადგილის ზედაპირის განათება, ნახშირორჟანგისა და მტვრის შემცველობა ჰაერში გამოკვლევების თითქმის მთელ პერიოდში, ერთნაირი იყო და არ აღწევდა სანიტარული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურად დასაშვებ ნორმებს. ჰაერის ტემპერატურასა (3,1) და ტენიანობის (10 პროცენტი) ზოგიერთი მატება, რომელიც აღინიშნებოდა გამოკვლევებისას, გამოწვეული იყო ძირითადად გარეთა მეტეოროლოგიური პირობების ცვალებადობით, ნაწილობრივ კი ორთქლის წარმოშობით უთოობის პროცესში, იარაღებისა და მოწყობილობათა გაცხელებით, ვვარაუდობთ, რომ ჰაერის ტემპერატურას, შეფარდებით ტენიანობასა და ჰაერის მოძრაობას უარყოფითად არ უნდა ემოქმედა მომუშავეთა ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე, რაც სავსებით დადასტურდა მომუშავეთა ორგანიზმის ფიზიოლოგიური ძვრების შესწავლითაც.

გამოკვლევების პროცესში, როგორც საწარმოო ტანვარჯიშის გამოყენებამდე, ისე მის შემდეგ, მომუშავეთა პულსის (76-77) და სუნთქვის სიხშირე (20-21), სხეულისა (36,0-36,1) და კანის ტემპერატურა (30,0-32,1), აგრეთვე არტერიული სისხლის წნევა (93-98 მ. გ.), სამუშაო დღის განმავლობაში მერყეობდა ისეთ ფარგლებში, რომლებიც არ იძლევიან იმის უფლებას, რომ ეს მაჩვენებლები ჩავთვალოთ ორგანიზმის მნიშვნელოვან რეაქციათა საწარმოოს გარემოს ზემოქმედებაზე. ეს დადასტურდა აგრეთვე იმით, რომ მომუშავეთა 76,2 პროცენტის განწყობა მუშაობის დროს კარგი იყო.

ფიზიოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ სამუშაოს დაწყებამდე მამოძრავებელი რეაქციის დრო პირველი ცვლის მომუშავეებში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მეორეში. გაირკვა აგრეთვე, რომ მუშაობის დაწყებამდე ტანვარჯიშის ჩატარების შედეგად მამოძრავებელი რეაქციის დრო მნიშვნელოვნად შემცირდა დილის ცვლაში, მაშინ, როცა მეორე ცვლის მომუშავეებში, ეს ცვლილება უმნიშვნელო იყო. ყველაფერი ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ პირველი ცვლის მუშაობის დაწყებამდე მომუშავეთა დიდი ჰემისფეროების ქერქი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განთავისუფლებული შინაგანი შეკავებისაგან ძილის შემდეგ, ხოლო მეორე ცვლაში მუშაობის დაწყებამდე ოჯახში, ან მის გარეთ მათ მოუხდათ გარკვეული მოძრაობისა და სამუშაოს შესრულება.

აღსანიშნავია, რომ თუ ფიზკულტპაუზის გამოყენებამდე, როგორც პირველ. ისე მეორე ცვლაში სამუშაო დღის ბოლოსათვის მამოძრავებელი რეაქციის დრო მნიშვნელოვნად ხანგრძლივდებოდა, მისი გამოყენების შემდეგ იგი შესამჩნევად შემცირდა და თითქმის არ განსხვავდებოდა მამოძრავებელი რეაქციის დროის იმ ხანგრძლიობისაგან, რომელიც მუშაობის დაწყებამდე აღინიშნებოდა. დადებითი სურათი მივიღეთ ხელის მტევნის გამძლეობისა და სხვა ფიზიოლოგიური გამოკვლევების დროსაც.

იმ პერიოდში, როცა ჩვენ საწარმოო ტანვარჯიშს ვატარებდით, დაავადებიანობა საწარმოში შემცირდა 17.2 პროცენტით, მიკროტრავმები — 19,1 პროცენტით, საწარმოო წუნი — 23,2 პროცენტით, უკანასკნელ წლებში შრომის ნაყოფიერების ზრდა განისაზღვრა 7,0-8,2 პროცენტით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საავადმყოფო ფურცლების რაოდენობის საწარმოო მიკროტრავმების, დაავადების, საწარმოო წუნის შემცირება და შრომისნაყოფიერების ზრდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას მარტო საწარმოო ტანვარჯიშის გამოყენებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს შედეგია მომუშავეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესებით, მაგრამ ამასთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა საწარმოო ტანვარჯიშის გამოყენებამაც.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. მომუშავეთა ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე საწარმოო ტანვარჯიშის კეთილმყოფელი გავლენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოო ჰიგიენური პირობების სრულყოფა.

2. საწარმოო ტანვარჯიშის გამოყენება სამკერვალო წარმოებაში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მომუშავეთა ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობას, ამცირებს დაავადებიანობას, საწარმოო მიკროტრავმებს, საწარმოო წუნს და შესამჩნევად ზრდის შრომისუნარიანობასა და ნაყოფიერებას.

3. გამოკვლევათა შედეგები ნებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საწარმოო ტანვარჯიში სამკერვალო ფაბრიკებში:

ა) პირველ ცვლაში — მუშაობის დაწყებამდე ტანვარჯიში და ფიზკულტპაუზა სამუშაო დღის მეორე ნახევარში.

ბ) მეორე ცვლაში — ფიზკულტპაუზა სამუშაო დღის როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში;

გ) პირველი ცვლის სამუშაოს პირველ ნახევარში ფიზკულტპაუზის ჩატარება და მეორე ცვლაში მუშაობის დაწყებამდე ტანვარჯიშის ჩატარება შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

გათამაშებულია ხუთი ტური

თბილისში უკვე მეორე კვირაა სპორტულ პაექრობაში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ასუჯრიან შაშში. ტურნირზე უკვე გათამაშებულია ხუთი ტური.

ჯიქურ მიიწევს წინ ცხინვალელი ზ. კოკოევი, რომელსაც 4 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება სოხუმელი გ. ბარამიძე. ლიდერებში არიან აგრეთვე თბილისის ჩემპიონი თ. ბარამიძე და ბ. ლიტვაკი. მათ 3-3 ქულა აქვთ.

შეჯიბრების პირველმა „ტაიმმა“ დაგვანახა, რომ პერიფერიის მოშაშეები უკეთ მომზადებულან. ამიტომაც მათი ლიდერობა სრულიად დამსახურებულია. ამაზევე მეტყველებს ძმების თენგიზ და თამაზ ბარამიძეების შეხვედრა V ტურში, თითქოს ოსტატობის კანდიდატს უნდა „ეწყენინებინა“ პირველთანრიგოსან ფოთელ თამაზისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. იმიტომ კი არა, რომ თბილისელმა შეიცოდა ფოთელი ძმა, არამედ ვერაფერი გააწყო ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ზოგი ამბობს ძნელია ძმასთან მოგებაზე თამაში. შეიძლება ასეც იყოს. მართლაც ძმა ძმისთვის, მაგრამ... არა ამ დღისთვის.

გ. ოსიპოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

საბჭოთა მოჭადრაკეები ლიდერთა შორის

გავიდა საზონათშორისო ტურნირის კიდევ ოთხი (IX-XII) ტური, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკეების მძლავრი წინსვლით აღინიშნა. განსაკუთრებით თავი ისახელეს გელერმა და შტეინმა, თვითეულმა მათგანმა 3,5 ქულა მოაგროვა. გელერმა ბერტოკთან ყაიმის შემდეგ ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერს ულმანს, ბერტოკსა და ტეშნერს სძლია ზედიზედ, ხოლო შტეინმა — ტეშნერს, აარონსა და პორტიშს, ხოლო ბენკოს ყაიმზე შეუთანხმდა. უმატეს ტემპს პეტროსიანმა და კორჩნოიმ, რომლებმაც საკუთარ აქტივს კიდევ 3-3 ქულა შემატეს. ახლა სატურნირო ცხრილში, რომელიც აქ მოგვყავს, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ლიდერებში გადაინაცვლეს, ულმანს 8,5 ქულა აქვს, ფიშერს 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გელერსა და პეტროსიანს — 7,5 ქულა თვითეულს, კორჩნოის, ფილიპსა და ბილეკს — 7 ქულა თვითეულს. შტეინს უკვე 6 ქულა აქვს.

უცხოელი მოჭადრაკეებიდან ჩინებული თამაში გამოავლინა ბილეკმა, რომელმაც 3,5 ქულა მოაგროვა. „განრისხებული" იბრძვიან გლიგორიჩი და ოლაფსონი, ისინი 3-3 ქულით გავიდნენ წინ. მაგრამ ლიდერებს კვლავ ჩამორჩებიან,

არ გამოსდიოდა თამაში ფიშერს. მან დაამარცხა შვებერი, თუმცა უარესი პოზიცია ჰქონდა. ასევე არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა გლიგორიჩსა და პომართან. იუგოსლაველთან უპაიკოდ იყო და ყაიმს ეძებდა, ხოლო პომართან ბედის გაღიმებით თვითონ მოიგო პაიკი და ყაიმს გაურბოდა, ორივე პარტიამ თითქმის 80 სვლას მიაღწია. ბოლოს ორივეში ყაიმი გამოვიდა. იანოვსკისთან თითქმის იგივე გამეორდა. ჯერ ფიშერი ბეწვზე „ეკიდა", ხოლო შემდეგ მას ზედმეტი პაიკი დარჩა. ახლა ფიშერი მასში მოგებას ეძებს. ამიტომ პარტია კვლავ გადაიდო. ფიშერის „მძიმე" თამაში არ არის კარგი სიმპტომი. ხომ არ დაიღალა ნიჭიერი გროსმაისტერი?

კვლავ „გაიელვა" კუელარმა. მან საქმე გაუფუჭა ბარცას, რომელსაც კარგ სტილში მოუგო. როგორც ჩანს, კუელარი „ემტერება" გროსმაისტერებს, წაიფორხილა პორტიშმაც, რომელმაც მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა.

გასულ ოთხ ტურში მხოლოდ ტეშნერს არ გაუღიმა ბედმა. იგი მოჰყვა საბჭოთა მოჭადრაკეთა იერიშის ქვეშ და ყველა პარტია წააგო.

ტურნირი შევიდა გადამწყვეტ ფაზაში — დაიწყო მეორე ნახევარი. ახლა ყოველ შეხვედრას „წონა" მოემატა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა „აღიმაღლეს" ხმა და რიხიანად შეუტიეს ერთპიროვნულ ლიდერობას. მომდევნო „სამუშაო" კვირა ბევრ საინტერესოს გვპირდება. საგანგებო ყურადღებას იპყრობს შტეინ-ფიშერის პარტია, რომელიც XVI ტურში გაიმართება.

მდგომარეობა XII ტურის შემდეგ.

			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	[illegible]	[illegible]
ლ. შტეინი	სსრკ	1	■	½	0	½	0	1	½	0	1	½	1	1													
ტ. პეტროსიანი	,,	2	½	■	½	½	½	½	1	½	1	½	1												1		
ე. გელერი	,,	3	1	½	■	½	½	1	½	1	1	1												0	½		
ვ. კორჩნოი	,,	4	½	½	½	■	1	½	1	½	1												½	0	1		
მ. ფილიპი	ჩეხ.	5	1	½	½	0	■	1	½	0												1	1	1	½		
ხ. ბოლბოჩანი	არგ.	6	0	½	0	½	0	■	½												½	1	1	1	½		
მ. ბერტოკი	იუგ.	7	½	0	½	0	½	½	■											½	0	½	½	1	0		
ვ. ულმანი	გდრ.	8	1	½	0	½	1			■									1	½	1	0	1	1	1		
რ. ტეშნერი	გფრ.	9	0	0	0	0					■							½	0	½	0	½	½	1	0		
პ. ბენკო	აშშ	10	½	½	0							■					1	½	½	½	1	0	1	1	0		
მ. აარონი	ინდ.	11	0	0									■			0	0	0	0	0	½	½	0	½	0		
ლ. პორტიში	უნგრ.	12	0											■	½	½	1	0	½	½	1	1	0	1	½		
ი. ბილეკი	,,	13												½	■	½	½	0	0	1	1	1	1	1	½		
გ. ბარცა	,,	14											1	½	½	■	½	0	1	0	½	½	½	0			
ა. ბისგაიერი	აშშ	15										0	1	0	½	½	■	0	½	0	½	½	·				
რ. ფიშერი	,,	16									½	½	1	1	1	1	1	■	½	½	1	·					
ა. პომარი	ესპ.	17								0	1	½	1	½	1	0	½	½	■	½	½						
ს. გლიგორიჩი	იუგ.	18							½	½	½	½	1	½	0	1	1	½	½	■							
ს. შვებერი	არგ.	19						½	1	0	1	0	½	0	0	½	½	0	½		■						
დ. იანოვსკი	კან.	20					0	0	½	1	½	1	½	0	0	½	½	·				■					
ე. გერმანი	ბრაზ.	21				½	0	0	½	0	½	0	1	1	0	½	·						■				
მ. კუელარი	კოლუმ	22			1	1	0	0	0	0	0	0	½	0	0	1								■			
ფ. ოლაფსონი	ისლ.	23		0	½	0	½	½	1	0	1	1	1	½	½										■		

საგაზაფხულო სტარტის წინ

საქართველოს „დინამოს" მძლეოსნობის მწვრთნელთა საბჭოს კარგა ხანია პრაქტიკაში აქვს დანერგილი რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების შემოწმება საგაზაფხულო სტარტებამდე.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება სპეციალურ სახეობებში ოფიციალურ შეჯიბრებამდე კარგა ხნით ადრე საშუალებას აძლევს მწვრთნელს ზუსტად განსაზღვროს თავისი აღსაზრდელის შესაძლებლობანი და მისი წვრთნა წარმართოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით.

ქალთა შეჯიბრების პირველმა დღემ ცხადყო, რომ თვით წამყვან სპორტსმენებსაც კი დაუმუშავებელი რჩებათ სხვადასხვა დამხმარე ვარჯიშთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე მაგალითად, თუ ა. ოვივიანმა 30 მეტრი 4,3 წამში გაირბინა და 160 ქულა მიიღო, ნ. სოლოვიოვამ (აფხაზეთი) და რ. ქოჩლაძემ 130 ქულა დააგროვეს თვითეულმა, სამხტომში გამარჯვებული რ. იანშინას შედეგი 57 ქულას არ გასცილებია (იგი გადახტა 6.99 მეტრზე). სოლოვიოვამ და ოვივიანმა შესაბამისად 53 და 46 ქულა მიიღეს. განზიდვაში შეჯიბრებამ (სპორტსმენებს ფეხები ეწყოთ ტანვარჯიშულ სკამზე, ხელები იატაკზე) გამარჯვება რ. ქოჩლაძეს მოუტანა (235 ქულა) და პირველი დღის ჯამში ლიდერთა ჯგუფის სათავეში მოექცა — 406 ქულა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ ა. ოვივიანი — 366 ქულა და რ. იანშინა — 272 ქულა.

შეჯიბრების მეორე დღეს გამოირკვა, რომ ზამთრის პერიოდში მწვრთნელებსა და სპორტსმენებსაც ნაკლებად გამოუყენებიათ ძალისმიერი ვარჯიშები საერთო ფიზიკური მომზადებისათვის. საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ ღერძზე მიზიდვაში მხოლოდ რ. ქოჩლაძემ და ა. ოვივიანმა შეძლეს ქულების მიღება, დანარჩენებმა ერთხელაც ვერ შეასრულეს ეს ვარჯიში. სახარბიელო შედეგები არც 500 მეტრზე რბენაში იქნა ნაჩვენები. საბოლოოდ გამარჯვებულმა რ. ქოჩლაძემ 599 ქულა დააგროვა, აუტსაიდერთა ქულების რიცხვი სამ ათეულს არ გაცილებია.

ვაჟთა შეჯიბრების დროს პირველი ჯგუფის მონაწილეებიდან (აქ გამოდიოდნენ ყველა მანძილზე მორბენლები და მოსიარულენი) თითქმის კონკურენციის გარეშე იყო აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. ივანოვი, რომელმაც 100 მეტრი 11,6 წამში გაირბინა, სამხტომში 8,27 მეტრი დაძლია, ბაგირზე ცოცვას 14,8 წამი მოანდომა და აჰკრა 65-კილოგრამიანი შტანგა. მეორე ადგილზეა გ. იმნაძე (აჭარა), მესამეზე — ნ. გორბურუკოვი (თბილისი).

დანარჩენ სახეობათა წარმომადგენლებიდან, რომლებიც მეორე ჯგუფს ქმნიდნენ, პირველი იყო თბილისელი ვ. ავიძბა. იგი კარგად გამოვიდა „სპეციალურ" სახეობებში: 30 მეტრი გაირბინა 3,8 წამში (170 ქულა) და სამხტომში დაძლია 9,33 მ (143 ქულა). ყველა სახეობის ჯამში ავიძბამ 680 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა ბ. სამოილენკო — 581 ქულა და მესამეზე — ვ. ვენცკევიჩი — 579 ქ.

შეჯიბრებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, რასაც ვერ ვიტყვით აჭარელ მძლეოსნებზე, რომლებსაც შედარებით უკეთესი სავარჯიშო პირობები გააჩნიათ.

ამგვარი შეჯიბრებები კარგ ნაყოფს იძლევა და ურიგო არ იქნება, თუ დანარჩენი სპორტული საზოგადოებებიც ოფიციალურ ხასიათს მისცემენ თავიანთ სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების შემოწმებას.

გ. სამსონაძე

◇

რეკორდსმენები

ყოველი წლის თებერვალში თბილისში ეწყობა უძლიერეს მოცურავეთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესოთა გამოვლინებას პირველი საკავშირო სტარტებისათვის.

თუ მოვიგონებთ გასული წლის შედეგებს, ნათელი გახდება, რომ მაშინ ქალები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ვაჟებს მაღალი შედეგების ჩვენებისა და გუნდისათვის ჩასათვლელი ქულების მოპოვებაში, რამაც საგრძნობლად შეაფერხა რესპუბლიკური ნაკრები უფრო წინ წასულიყო საკავშირო ასპარეზზე.

ფაქტად ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ქალთა შორის უკვე პირველ უძლიერესთა გაცურვაში ერთდროულად ორმა სპორტსმენმა შეიტანა შესწორება რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. აქ პირველი ადგილი მოიპოვა დინამოელმა ე. შავდიამ — 1.12,9. მეორე და მესამე ადგილების მფლობელები, მისი თანაგუნდელები ლ. ბერძენიშვილი და ი. ამნიაშვილი იყვნენ, რომლებმაც 1.13,1 აჩვენეს და 0,3 წამით გააუმჯობესეს ლ. ბერძენიშვილის რესპუბლიკური რეკორდი გოგონათა შორის.

ჭაბუკთა და გოგონათა ერთგვარი უპირატესობა იგრძნობოდა სხვა სტილით ცურვაშიც. მართალია, ამ დღეს ყველა დისტანციაზე პირველობა უფრო გამოცდილ სპორტსმენებს დარჩათ, მაგრამ უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან ბევრი იყო პირველთანრიგოსანი და პატარებთან აგებდა შეჯიბრებას, ვაჟთა შორის 100 მ ბრასით ერთ გაცურვაში გამოდიოდნენ 1946 წელში დაბადებულნი და უფრო პატარებიც. აქ სამმა პრიზიორმა — დინამოელებმა 14 წლის ი. სმირნოვმა — 1,21,0, 15 წლის ი. ზიბროვმა — 1.21,3 და 15 წლის ვ. ბერიკაშვილმა („შრ. რეზერვები") — 1.22,0, გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე წინა გაცურვებში მონაწილე I-თანრიგოსნებმა ბ. ჩერნიკოვმა, ა. მოზერმა, ვ. ბუკარევმა და სხვებმა, რაც გამოწვეულია იმით, რომ პატარები მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან წვრთნას, იცავენ რეჟიმს.

ამ სახეობაში ვაჟთა შორის აშკარა იყო საკავშირო ექს-რეკორდსმენის სპარტაკელი ი. ფუნიკოვის უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორედ სტარტის წინ ჩამოვიდა საკავშირო შეჯიბრებიდან და პირდაპირ ჩაება ბრძოლაში, მაინც ადვილად სძლია უახლოეს კონკურენტს აჭარის გუნდიდან ე. მამჩინს. ფუნიკოვის მაჩვენებელია — 1.15,4, მამჩინისა — 1.18,3.

მოულოდნელი დამარცხება განიცადა რესპუბლიკის უძლიერესმა ზურგზე მოცურავემ ე. შავდიამ (100 მეტრზე). საქართველოს რეკორდსმენს არასათანადო მომზადება აღმოაჩნდა თავის „პროფესიაში", დუნედ დაიწყო ცურვა და შუა დისტანციის შემდეგ უკვე 3 წამით ჩამორჩებოდა თავის თანაგუნდელ ი. ჩუგუევსკაიას („დინამო"). კონკურენტები მეზობელ ბილიკებზე მიცურავდნენ, რის გამო უჭირდათ კონტროლი გაეწიათ ერთმანეთისათვის, შავდია შეეცადა ძალთა მობილიზაციას და დაკარგულის ანაზღაურებას, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაიმარჯვა ჩუგუევსკაიამ — 1.20,5. მისასალმებელია 13 წლის ნ. ჰუმბაძის („დინამო") მიერ მესამე ადგილის მოპოვება. მან II თანრიგზე ბევრად უკეთესი შედეგი აჩვენა — 1.26,3.

ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ ზურგზე მოცურავე ქალებს, რომელთა ტექნიკაში არავითარი სწრაფვა არ იგრძნობა „მალაყით" მობრუნების ილეთთა ათვისებაში, რაკი ტექნიკაზე ჩამოვარდა სიტყვა უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცურავეთა უმეტესობა, განსაკუთრებით „სპრინტერები", სათანადოდ არ არიან დაუფლებულნი სტარტს, ზედმეტად ნერვიულობენ, სწორედ ამის გამო იყო, რომ ერთ-ერთი გაცურვის დროს სპორტსმენებმა 3-ჯერ აიღეს ყალბი სტარტი.

ზურგზე მოცურავე ვაჟთა პირველ გაცურვაში 9 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე, რომელთა შორის ორი რეკორდსმენი იყო, საქართველოსი — ბ. კამენსკი („დინამო") და აზერბაიჯანისა — ვ. ბოჩკანოვი (თბილისის სკა). მათს ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი — 1.09,0 და 2,3-ით მოუგო ვ. ბოჩკანოვს.

ბრასისტ ქალთა 100-მეტრიან დისტანციაზე დინამოელმა ლ. კრილოვამ ადვილად მოუგო ყველა მოწინააღმდეგეს, მათ შორის მეორე და მესამე პრიზიორებს — დ. კონონენკოს („დინამო") და ნ. ალექსეევას (განათლების განყოფილება) და პირველი ადგილი დაიკავა — 1.28,0.

თუ რა „მოსავალი მოიმკეს" მოცურავეებმა შეჯიბრების პირველ დღეს, რომლის სტარტზე გამოვიდა თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის 171 სპორტსმენი, ნათელი გახდება ერთი მეტად არასახარბიელო ფაქტით. მხოლოდ 13 მონაწილემ აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი, რაც ერთობ მცირე რიცხვია.

ლ. იოაკიმიდი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,

ო. გელაშვილი.

სურათზე: თბილისელი გ. სულაძისა (ზემოდან) და მ. მაისურაძის ფინალური შეხვედრა.

ფოტო ი. იუნაევისა.

იოჰანსონი ტრავმირებულია

როგორც ცნობილია, პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს, ექს-ჩემპიონი ინგემარ იოჰანსონი დიდ იმედებს ამყარებს მიმდინარე სპორტულ სეზონზე, როდესაც იგი ერთხელ კიდევ უნდა შეხვდეს ფლოიდ პატერსონს, გარდა ამისა შვედ მოკრივეს „გეგმაში აქვს" კიდევ რამდენიმე შეხვედრა ჩაატაროს,

2 მარტს გეტებორგში უნდა გამართულიყო იოჰანსონის შეხვედრა იამაიკელ ბრენკერსტონთან, მაგრამ იმის გამო, რომ საწვრთნელ ვარჯიშზე შვედმა ტრავმა მიიღო, შეხვედრა ერთი კვირით გადაიდება.

ტრადიცია აღდგენილია

სპორტსაზოგადოება „სპარტაკში" მუშაობა განაახლა ქართული ჭიდაობის სექციამ. სწორედ ამ სექციის ინიციატივით 10-11 თებერვალს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის" თბილისის პირველობის პირველი ტური,

შეჯიბრებაში მონაწილეობდა კოოპერაციული, პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების, № 2 მსუბუქი ავტო-სატრანსპორტო კანტორის და მუსიკალური კლავიშების ფაბრიკის გუნდები.

საწარმოთა კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავა № 2 მსუბუქი ავტო-სატრანსპორტო კანტორის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შორის კი — პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოჭიდავეთა გუნდმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" თბილისის ჩემპიონები გახდნენ: ა. მოდებაძე, გ. სულაძე, ვ. ნახუცრიშვილი, თ. ტერტეროვი, ლ. ხუგაშვილი, ა. მანუკოვი, ვ. მიქელაშვილი და დ. გურგენიძე.

შ. ზუკაკიშვილი

ლოთ ლოთ ჰელმუტ!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს აბაშის რაიონის სოფ. ზანათიდან — ი. ქობალავასა და გ. ბოკუჩავას სურთ გავაცნოთ გერმანელი ფეხბურთელის რანის შესახებ.

როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო V ჩემპიონატში, ბევრმა მიმომხილველმა ამაში თავდამსხმელთა „დუეტის" — ჰელმუტ რანისა და ფრიც ვალტერის თვალსაჩინო დამსახურება დაინახა. მაგრამ თუ ვალტერი ცნობილი იყო, როგორც იმ დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი, 24 წლის რანს ჩემპიონატამდე არავინ იცნობდა. ამ შეუპოვარმა, აგრესიულმა, უძლიერესი დარტყმის მქონე მოთამაშემ მაშინ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. რანმა ფინალურ მატჩში უნგრელებთან (3:2) ორი გოლი გაიტანა, აქედან თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გატანილმა „ოქროს ბურთმა" გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

რანმა თვალსაჩინო წარმატებით ჩაატარა მსოფლიო VI ჩემპიონატი; ამ გათამაშებაში იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდი იყო. საყურადღებოა, რომ თავის ადგილას — მარჯვენა ფრთაზე, რანი ეპიზოდურად გამოჩნდებოდა ხოლმე, უფრო ხშირად კი მოქმედებდა მარჯვენა შუამარბის ზონაში, სადაც ჩინებულად იყენებდა თავისი ძველი პარტნიორის, ვალტერის ზუსტ გადაცემებს.

მსოფლიოს VI ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჰერბერგერმა გადაწყვიტა გუნდის გაახალგაზრდავება. ნაკრები დატოვეს ვეტერანებმა ჰერკენრატმა, ეკელმა, ვალტერმა, შეფერმა და სხვებმა. რანი უკვე აშკარად გალოთდა... და ნაკრებიდან გაირიცხა. ამავე დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კავშირმა მას ნება დართო უცხოეთში წასვლაზე.

ამიერიდან რანი ჰოლანდიის პირველი ლიგის ერთ-ერთი კლუბის „ენშედეს" მოთამაშე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ფეხბურთელი აქაც ხშირად არღვევს სპორტულ რეჟიმს, უკანასკნელ ხანებში იგი თამაშობს დიდი ჟინით და თავდადებით, რასაც მიმომხილველები მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოვებას მიაწერენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს ადრე სრულიად უმნიშვნელო ჰოლანდიური კლუბი, ახლა წარმატებით თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, რაც სწორედ რანის დამსახურებად მიაჩნიათ.

საინტერესო ამბები ხდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებშიც. სამწლიანი ძებნის მიუხედავად, ჰერბერგერმა ვერ იქნა და ვერ ნახა ღირსეული მარჯვენა გარემარბი, თუმცა გუნდის დანარჩენი ადგილები კარგა ხანია დაკავებულია. ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატი გამოცადეს, რომელთა შორის უძლიერესია ვეტერანი კრესი. ეს ფეხბურთელი არა მარტო საგრძნობლად უფროსია რანზე, არამედ თამაშის კლასითაც ჩამოუვარდება მას. გაისმა ხმები, რომ საჭიროა რანის დაბრუნება ჰოლანდიიდან და მისი ხელახალი შეყვანა ნაკრებში, მით უმეტეს, რომ ეს ფეხბურთელი ადრე დიდი სერიოზულობით მოეკიდა ორ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს, რომელთა გმირადაც იგი სამართლიანად ითვლება. მაგრამ 65 წლის ზეპ ჰერბერგერი, რომელიც უკვე 25 წელია ნაკრებს მეთაურობს, არ ეთანხმება ზოგიერთ მიმომხილველს. ჰერბერგერის განცხადებით, მას ჯერ ისე არ გასჭირვებია, რომ ლოთებს თხოვოს დახმარება!

კანადელი სპორტსმენის მსოფლიო რეკორდი

ნორვეგიულ ქალაქ ჰამარში გაიმართა ამ ქვეყანაში სტუმრადმყოფი საბჭოთა სპორტსმენებისა და ადგილობრივი „ოსლო-სკეიტ-კლუბის" მოციგურეთა შეხვედრა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ „სპარტაკის" წარმომადგენლები. მრავალჭიდში პირველი იყო მ. ხაბიბულინი (სსრ კავშირი) — 186,390 ქულა.

აქვე მოეწყო ნორვეგიელ და აქ სავარჯიშოდ მყოფი სხვადასხვა ქვეყნის მოციგურეთა შეხვედრები, 500 მეტრზე უძლიერესი იყო ამერიკელი ე. რუდოლფი — 41,0. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი რ. გრაჩი—41.8 წ. 1.500 მეტრზე გაიმარჯვა ა. კუპრიანოვმა (საფრანგეთი) — 2.14,7. დიდი წარმატება ხვდა წილად კანადელ პ. ენოკს. მან 3.000 მეტრზე რბენაში აჩვენა 4.37,2. ეს შედეგი 3 წუთით უკეთესია ჰოლანდიელ ა. ჰიუსკესის მსოფლიო რეკორდზე. მეორე გამარჯვება მოიპოვა ა. კუპრიანოვმა, ამჯერად 5-კილომეტრიან დისტანციაზე — 8.09,6.

მაღალი შედეგები

ახალგაზრდა ამერიკელმა სპორტსმენმა ჰ. გუბნერმა კვლავ მაღალ შედეგს მიაღწია ბირთვის კვრაში რეგიონალურ ჩემპიონატზე, რომელიც ნიუ-იორკის „მოყვარულ მძლეოსანთა კავშირის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა, 19 წლის მძლეოსანმა აჩვენა შედეგი — 18 მეტრი და 30 სანტიმეტრი.

მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა უნივერსიტეტელ დ. ელკინსსაც ჭოკით ხტომაში — 4 მ 73 სმ. სხვათაშორის, მან თითქმის აიღო 4 მ და 83 სმ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჩამოაგდო თამასა.

ფ. ბუდმა 50 იარდი გაირბინა 5,5 წამში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჯ. თომასი დამარცხდა ბ. გარდნერთან ბრძოლაში სიმაღლეზე ხტომაში, რომელმაც ნაკლები ცდით აიღო 2 მ 3 სმ სიმაღლე

ბობსლეი ზამთრის სპორტის ისეთი სახეობაა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთის ქვეყნებში და ხშირად ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატებიც იმართება. იგი თავისებური შეჯიბრებაა ციგებით, რომელიც სპეციალურ, საკმაოდ რთულ ტრასებზე ტარდება და მონაწილეთაგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ მომზადებას, მაღალ ტექნიკას, თვალის სისწრაფესა და კარგ რეაქციას. საკმარისია ოდნავი გაუფრთხილებლობა, უყურადღებობა, რომ ციგა გადაცდეს „რელსებს", რითაც შეიძლება გამოაკლდნენ არამარტო შეჯიბრებას, არამედ დღეს-პონ კიდეც

ბობსლეიში გამარჯვებულად ითვლება ის წყვილი ან ოთხეული, რომელიც ყველაზე დიდი სისწრაფის წყალობით საუკეთესო დროს აჩვენებს და მიიღებს ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულებს.

ამ სურათზე კარგად ჩანს ზევით — ბობსლეის ტრასა და შეჯიბრების მონაწილენი დისტანციაზე (ქვევით).

კიდევ სამი შესწორება

იაპონელმა მოცურავეებმა წარმატებით დაამთავრეს თავიანთი ტურნირი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, რის შედეგადაც რამდენიმე შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. იაპონია-ავსტრალიის მეოთხე მატჩის კომბინირებულ ესტაფეტაში 4×110 იარდზე მსოფლიო რეკორდის დამყარების (4.12,8) შემდეგ მათ ეს შედეგი კიდევ 0,9 წამით გააუმჯობესეს, ოკლენდის (ახალი ზელანდია) 55-იარდიან აუზში.

მაგრამ იაპონელები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. მსოფლიო რეკორდების ცხრილში ორი შესწორება შეიტანა ფუკუსიმამ (იაპონია). მან ჯერ ველინგტონის 55-იარდიან აუზში 220 იარდზე ზურგზე ცურვის დროს აჩვენა სარეკორდო დრო — 2.17,8, რითაც 0,6 წამით გააუმჯობესა ავსტრალიელ ჯ. მონკტონის მსოფლიო მიღწევა, ხოლო შემდეგ შეჯიბრებაზე მან ამავე დისტანციაზე აჩვენა 2.16,1.

რედაქტორი ი. უგულავა

18 თებერვალი
პირად-გუნდური რესპუბლიკური პირველობა
ველოკროსში
შეჯიბრება ჩატარდება საბურთალოზე (№ 2 ავტობუსების ბოლო გაჩერებაზე).
დასაწყისი 12 ს.

ფარიკაობის ფედერაცია უწყებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. მეითარიანის მამის

სიმონ იასონის ძე მეითარიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის —3-85-83, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 8.01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05661